ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 31 ივლისი № 1540

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფლოდორივი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ბ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კროვატები—მორიგებით. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა იწვევს მსურველთ
(ქალებსა და ვაჟებს)
სცენაზე
სამსახურისათვის
(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (ნ. 5—4)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის არის 40 თავისუფალი ვაკანსია პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან ბავშვები 7—8 წლამდის. ამ განყოფილებაში შესვლის მსურველს უნდა შეეძლოს ამოკითხვა და ანბანის წერა ქართულად. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება. ამისდა მიხედვით თხოვნები მიიღება მხოლოდ პირველ განყოფილებაში ბავშვის მიბარების მსურველთაგან.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობისთვემდის. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი საბუთების ქაღალდები: წლოვანების, აზნაურიშვილობის და ყვავილის აცრის. ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა მოხდება 27—28 აგვისტოს, ხოლო მიღება პირველ განყოფილებაში ამავე თვის 31.

მოსწავლემ სკოლაში მოსვლისათანავე უნდა წარმოადგინოს ნახევარი წლის სწავლის ფული 5 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ იქმნება სკოლიდან. სწავლა დაიწყება 1-ლ ენკენისთვეს. (3—3)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

29 ივლისი.

კრონბერგი. დედოფლის ვიქტორიას გვამი ეკკლესიაში გაასვენეს. კუბოს უკან მიდიოდა მარტო იმპერატორი; სხვები დაშორებით მიჰყვებოდნენ. როდესაც კუბო ეკკლესიაში დასდგეს, იმპერატორი, სამეფო ოჯახის წევრნი და საიმპერიო კანცლერი შევიდნენ ეკკლესიაში. პანაშვიდის შემდეგ იმპერატორმა და სხვებმაც დაიჩოქეს. იმპერატორმა გვირგვინით შეამკო კუბო და შემდეგ ჰომბურგში დაბრუნდა.

პეკინი. ელჩებ შორის ხმა დადის, რომ ელჩების ხვალინდელ კრებაზე ინგლისის წარმომადგენელი პროტესტს განაცხადებს სადამოჟნო ტარიფის გადასასინჯავად კომისიის დანიშვნის წინააღმდეგ. თუ ეს მოხდა, ყველა ელჩები განაცხადებენ, რომ შეუძლებელია უკვე გარდაწყვეტილ საკითხების ხელ-ახლად აღძვრა; წინად ყველა ელჩები თანახმანი იყვნენ კომისიის დანიშვნაზე.

სოფია. რუსეთის ესკადრა გუშინ გავიდა ვარნიდან, რადგანაც ზღვაში ღელვა იყო და 28 ივლისს წავიდა ბურგასისაკენ.

ნეაპოლი. კრისპი კვდება.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი: 1) ინსტიტუტების მასწავლებელთა შვილების უფასოდ სწავლების შესახებ ინსტიტუტებში და გიმნაზიებში; 2) შიდა რუსეთისა და კავკასიის კაზაკთა საბანაკო ვარჯიშობისათვის გაწვევის წესების შეცვლის შესახებ.

პეტერბურგი. ფოსტისა და ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოს უფროსი გენ.-ლეიტენანტი პეტროვი ორის თვით სამსახურს თავს ანებებს; მისი თანამდებობის აღსრულება ამ დროის განმავლობაში დაევალა მისსავე თანაშემწეს დ. ს. ს. სევასტიანოვს.

28 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა უსტ-იჟორის ბანაკში მდგომი ჯარები.

აგვისტოში, ვიბორგ-პეტერბურგ-რეველის რაიონში მოხდება ჯარების დიდი ალლუმი, რომელსაც დაესწრება ხელმწიფე იმპერატორი. ალლუმში მონაწილეობას მიიღებენ: კრასნოე სელოსა, უსტ-იჟორისა და რეველის ბანაკებში მდგომი ჯარები, პეტერბურგისა და კრონშტადტის გარნიზონები და აგრეთვე ფინლიანდიის სამხედრო ოლქის ჯარების ნაწილი.

პენზა. ქალაქ პენზაში ორ ადგილას გაჩნდა ცეცხლი. გუშინ საშინელი ქარი ჰქროდა და 18 სამოსახლო დაიწვა.

ჩისტოპოლი. გუშინ და დღეს ბაზარზე მოიტანეს ახალი მოსავლის ხორბალი 70.000 ფუთი. ქვავის მოსავალი კარგია, შვრიის გვარიანია. ამინდი ხელს უწყობს მკას.

ხარკოვი. ჩამოვიდა მოსკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი იუშნევსკი; მან უნდა აწარმოოს გამოძიება ხარკოვის საადგილ-მამულო და სავაჭრო ბანკებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

საურთიერთო კრედიტის მეორე საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებამ დაადგინა—შეიტანონ დასამატებელი ფული 12%-მდე ორ ვადაზე, აირჩიონ ახალი საბჭო, გამგეობა, სარევიზიო კომისია 11 აგვისტო-

ფელეტონი

ამბავი სოფლის ცხოვრებიდან

(დასასრული*)

შეიკრიფა მეზობლობა. მამა ალექსანდრემ რომ ეს ამბავი შეიტყო, იქ დაიბადა; მას ძალიან შეებრალა ცალკე სიცივისაგან და ცალკე ცემისაგან და სიმშილისაგან შეწუხებული ქალი. გადიყვანა მაშინვე თავის სახლში და მეუღლის დახმარებით, როგორც იყო, გონზე მოიყვანა, მოასულიერა უბედური. მთელი ერთი კვირა იწვა პელა ლოგინში; მღვდლის სახლში ყველას ებრალებოდა იგი, უვლიდნენ, სცდილობდნენ მის მორჩენას. მართლაც, ამ მოვლა-პატრონობამ და თვით ქალის მაგარმა აგებულობამ დაიხსნეს ავადმყოფი სიკვდილისაგან. როდესაც სრულიად კარგად გახდა პელა, მღვდლის ცოლმა დაუწყო დარიგება: რაზე აკვლევინებ, შვილო, თავს, ადრე თუ გვიან—უნდა გათხოვდე. გაუგონე შენ პატრონებს, წაჰყევი ვისაც გაძლევენ, ხომ ხედავ, რომ არ გეშვებიან; კარგად შეგინახავს, ვიცი, არაფერი გაგიჭირდება, ეხლა კი, შენც კარგად ხედავ, რომ არავინ გპატრონობს, ჩაცმით შენ არ გაცვია და პურის ლუკმაც ხომ გენატრება ყოველთვის. შენი და და სიძე ხომ ახლო არ გიკარებენ, შენ გათხოვებაზე კი გაიგებენ თუ არა რამეს, მაშინ მოცვივიან და ვითომ პატრონობას გიწევენო. პელას ლამაზი თვალები ცრემლებით აევსო, ლოყები წამოუწითლდა, აქამდის თავ-ჩაღუნულმა, მაღლა აიღო თავი და უპასუხა:

— შენ მაინც იყავ, ქალბატონო, ჩემი ქომაგი, არ მომწონს და რა ვქნა! არ მიყვარს და ვერც შევიყვარებ, არც გავთხოვდები ჩემ დღეში; მე სულ ამას ვეუბნებოდი, როდესაც პირველად მოიყვანეს ი პირშავი დაჩეხილი კაცი, ახლაც ამას ვამბობ და ვიტყვი კიდეც. არ შევირთამ, თუნდ ფეხთით ოქროები გამიშალოს, თუნდა ნაკუწ-ნაკუწ ამკეპონ, რაც უნდა მიყონ, მომკლან, მაწამონ, რაც ადრე მომკლავენ, უფრო უკეთესია ჩემთვის, რაკი ჩემი ხვეწნავედრება, ჩემი უარი მაგათ არ ეყურებათ!!

გაათავა-რა უკანასკნელი სიტყვები, ფეხთით დაუვარდა და ქვითინი მორთო. ამ დროს გარედან თითონ მღვდელი შემოვიდა, წამოაყენა პელა და შემდეგის კითხვით მიმართა:

— შვილო, იქნება გყავს ვინმე საქმროდ ამორჩეული, გიყვარს და უყვარხარ, იმას გინდა წაჰყვე? მითხარი, გამომიტყდი, როგორც სულიერს მამას და გაძლევ პირობას, რომ ყველაფერს ადვილად მოგიხერხებ. ქალმა საშინლად ამოიოხრა და უსიტყვოთ თავი გააქნ-გამოაქნია...

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, პელას სიძე ივანე და მამიდა სიდონია სასიძოსთან მიიჭრნენ დილა ადრიან და ახარეს: ქალი კარგად გახდა და აღარც უარობს, ასე, რომ წინ აღარაფერი გვიძევს, საქმე გათავებულია, ამაღამ უნდა გამოიარო ჩვენთან ვახშმათო.

— თუ ღმერთი გწამთ, ხალხნო, თავი დამანებეთ, ი გოგოს ცოდოში ნუ სდგებით და მეც იმის ტანჯვას ნუ მაყურებინებთ, რაკი არ უნდივარ—ღმერთმა მშვიდობა მისცეს, თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის,—უთხრა წყნარად თედომ.

— რას ამბობ, კაცო, აუმაღლა ხმა ივანემ და სასიძოს ხელი ჩასჭიდა: თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვინ—რომელია, ნარდობანა ხო არ არი, დალოცვილიშვილო; დანიშნულ ქალს თავი დაანებო, რას იტყვის ხალხი ან შენზე ან ჩვენზე. ყველამ იცის, რომ ბელგა (ნიშანი) მოცემული გაქვ და შაქარი გატეხილია—გოგოც უარს ველარ გაბედავს შენ ცოლობაზე. იმ დღეს იმ ჩვენი შერცხვენითვინ რა ყოფაში ჩავაგდე, შენ არ გეცოდინება. ვაი დედი ჩემი ღლერთსა, კაცი არა ვყოფილვარ და ე ულვაში არა მქონია მა, თუ ამას თავისი გავაყვაინე! ესე, ძმაო, მე წავალ ე მანდ დუქნებიკენ ჩავივლი, ეგებ ამაღამითვინ პატარა ღორი ხორცი ვიშოვო; ძაან ცეცხლი-კი მოუკიდეს ამ ულმერთო ყასბებმა. კაცო, მამასისხლად ჰყიდიან, მაგრამ ეჰ, არა არა უშავს რა, ვიქეიფოთ ამაღამ კარგა და საქმეც გავჩარხოთ. ამ სიტყვებზე ულვაშებზე ხელი გაისვ-გამოისვა და მარცხენა თვალი ეშმაკურად ჩაუკრა თედოს.

თედო ცოტა ხანს კიდე ყოყმანობდა; იშმუშნებოდა, მარა კუდიანი სიდონიას ჩურჩულმა ისიც ეშხზედ მოიყვანა და გადაწყვეტით უთხრა: საღამოზე მოვალო.. სწორეთ ამ დღეს გადმოვიდა მღვდლის სახლიდან თავისთან ნაავადმყოფარი პელაც. შინაურებს აღარ გაუხსენებიათ ნიშნობა და მისი თავ-გადასავალი; ხოლო საღამო ხანმა რომ მოატანა—სიდონია სახლის დასუფთავებას შეუდგა. ივანემ ფარაჯის ქვეშ ამოფარებული ერთი ხელადა ღვინოც მოიტანა დუქნიდან, მისმა ცოლმა საუკეთესო დედალი გამოიყვანა დასაკლავად. ყველა ამას საპატარძლო ვერ ამჩნევდა, ჯერაც ისევ სუსტად, ულონოდ იყო, თავი არ ქონდა ყურადღება მიეპყრო რამეზე. იგი წამოწოლილიყო ტახტზე და ნაღვლიანი თვალებით ოთახის ერთ კუთხეს მისჩერებოდა. უცებ მამიდა სიდონია მივიდა, შუბლზე ხელი გადუსვა და ალერსით უთხრა:

—ადე, შვილო, რო სწეხარ, უფრო ცუდია, მოიღვედები,—კაბა გამოიცვალე, ახალი თავ-შალი მოიხვიე, საღამოა, გარედ გაიხედე: ე მანდ საცალა გოგოები „ბუზიკას" უკრავენ და ლამაზათ ლხინობენ.

პელა წამოდგა, მაგრამ პასუხის მაგიერ—ამოიოხრა და ორი მსხვილი ცრემლი გადმოცვივდა თვალთაგან. მხოლოდ ოხვრა-ცრემლი იყო მისი უნუგეშო გულის შვება.

დაბინდდა და სიცივემაც უმატა; ყველანი თავთავიანთ სახლებში შეიკეტნენ; ვისაც შეშა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1536.

სთვის დანიშნულ არა ჩვეულებრივ კრებაზე. ონკალურ ოპერაციების გამო მომხდარი ზარალი, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტია, როგორც ჰფიქრობენ, მოიკლებს, როცა ბანკში დაგირავებულ ქაღალდების ფასი აიწევა. სხვაფრივ ბანკის საქმეები წესიერად არის ცნობილი.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. იმ დღეს დეპუტატთა პალატამ ახალ-შენების სამინისტროს ბიუჯეტი განიხილა. ამის გამოისობით დეპუტატებმა დიდი კამათი გამართეს და მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკაში ყოველ მხრივ გაარჩიეს. თავდაპირველად კემპბელ-ბანერმანმა ილაპარაკა.

ოპოზიციის წინამძღოლი ჩემბერლენს დაეკითხა, რა ნაირად მიდის ამ ჟამად საქმე კაპის ახალშენში; როცა ომი გათავდება, რა ნაირად მოიქცევა, რა პოლიტიკას დაადგება მთავრობაო. ორატორმა სთქვა, ვაი თუ ქვეყნის გაოხრებამ, ფერმების დაწვამ და ბურების ქალებისა და ბავშვებისათვის თავ-მოსაყრელად გამართულმა სამხედრო ბანაკებმა დიდი ეროვნული სიძულვილი ჩაუნერგონ ბურებსაო. შარშან ამ დროს ჩვენი საქმე შეუდარებლად უკეთესად მიდიოდა, ვიდრე ეხლა: ამ ჟამად ბურები ინგლისის საბრძანებელსაც შემოესივნენო. კაპის ახალ-შენში ბევრგან ვედარც ჰხვნენ, ვედარც სთესენ და დიდ-ძალი საქონელიც იდუპებაო. თუ საქმე ამას იქითაც ასე წავიდა, რიღათი უნდა დარჩეს ხალხიო? ორატორმა ითხოვა, ამიხსენით, რა ნაირი სამხედრო წესებია შემოღებული კაპის ახალშენშიო. კაპის კონსტიტუცია ცხრა კლიტით დაკეტეს და მეტად კარგი იქნება, პარლამენტს გააგებინონ, რა აზრისაა, როგორ უყურებს ახალშენის ხალხი ეხლანდელ წესებსაო. კემპბელ-ბანერმანი იმედოვნებს, რომ მთავრობა რამე ნაირად მოახერხებს და მეომარ ბურებს დაითანხმებს,—ბრიტანიის იმპერატორის ქვეშევრდომობა იკისრონ. ბევრია იმ აზრისა, რომ ამისთანა მამაც მტერს შეიძლება შედავათიანი პირობები დაუდვასო. ეს საქმე შეიძლება იმ ნაირად მოხერხდეს, რომ ინგლისის პირველობასაც და ბატონობასაც არა ევნოს-რაო.

ოპოზიციის წინამძღოლის დინჯი, დალაგებული სიტყვის პასუხად, ჩემბერლენმა მეტად გამწარებული კილოთი ილაპარაკა. ლაპარაკის დროს ჩემბერლენს ირლანდიელებმა მოსვენება არ მისცეს, ხან ხმა-მაღლა დასცინოდნენ, ხან წყრომით უყვიროდნენ. მაგრამ ჩემბერლენმაც არ დაზოგა თავისი მტრები და მკაცრად, გესლიანად უგებდა პასუხს.

ახალშენების მინისტრმა თავდაპირველად სთქვა: მიკვირს სწორედ, რომ კემპბელ-ბანერმანმა ასე უყურადღებოდ დასტოვა ბურების ქცევაო; ბურების ცუდ მოქმედებაზე მკვიდრ შავკანიან ხალხთან და დაჭრილების თოფით დახვრეტაზე კრინტიც არ დაძრაო. ფერმერების სახლ-კარს ეხლა აღარა სწვავენო—სთქვა მინისტრმა,—და სახლების დანგრევაზე ხელი აიღესო. მინისტრი ეცადა დაემტკიცებინა, რომ ბურების ერთად შესაკრებად ბანაკების დაწესება აუცილებლად საჭირო იყო, რადგანაც უდგომობა იქნებოდა, ქალებისა და ბავშვებისათვის ტიალ მინდვრებში თავი გაგვენებებინაო. თუმცა ზოგიერთ ამ ბანაკთაგანში, სამწუხაროდ, დიდი ხალხი სწყდებოდა, მაგრამ ეს ბანაკები რომ არ ყოფილიყო, უფრო მეტი ხალხი გაწყდებოდა. ფერმების დანგრევა მისთვის იყო საჭირო, რომ სურსათის საწყობები მტერს ხელში არ ჩაეგდო. ეს სრულიად კანონიერი სამხედრო ხერხი იყო. გვიკიჟინებენ, კაპის კონსტიტუცია დაარღვიეთო, მაგრამ თუ კაპის პარლამენტი მომავალ ოქტომბერში შეიკრიბა, მაშინ კონსტიტუციის დარღვევაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ჩემბერლენი დღესაც იმ აზრისაა, რომ ლორდ რობერტსმა შარშან მართალი სთქვა, როცა გამოაცხადა, ომი ნამდვილად გათავებულიაო (ოპოზიცია დაცინვით ტაშს უკრავს, ირლანდიელები ხარხარებენ). მართლაც და მას აქეთ ბურებმა პარტიზანულ ომს მიჰყვეს ხელი, ეხლა კი ყაჩაღობასა და ბოროტ-მოქმედებასაც აღარ ერიდებიან (მთავრობის მოხრე დასი ტაშსა სცემს. ერთი ირლანდიელი დეპუტატი ჰკითხულობს: «ვინ არიან ყაჩაღები! ჩვენი ჯარი, თუ ბურები?»). გავლილ ხუთი თვის განმავლობაში ბურების ჯარს ყოველ თვე საშუალოდ ორი ათასი კაცი აკლდებოდა. თუ რა გავლენა იქონია ამ გამუდმებულმა ჯარის დევნამ, ამას რეიცის და შტეინის გამოცხადებული წერილებიდან დაინახავთ. ლაპარაკი აღარ უნდა, ახლა მეომარი ბური ბევრი აღარ დარჩა, ინგლისელი ჯარის მომეტებული ნაწილი, სწორედ რომ ვსთქვათ, უფრო პოლიციის თანამდებობას ასრულებს. კიტჩენერმა ამ ბოლოს დროს ისე კარგა მოაწყო საქმე, რომ ენკენისთვეში შესაძლებელი იქნება დიდ-ძალი ჯარი სამშობლოში დაბრუნდეს (სამინისტროს მომხრე დეპუტატები ტაშს უკრავენ), თითონ კიტჩენერი კი მანამდე არ დასტოვებს სამხრეთ-აფრიკას, სანამ მისი იქ ყოფნა საჭირო იქნება. დაჭრილ ოლქებში ჩვენ ხან და ხან სასტიკი ღონისძიების მიღება გვჭირდება მტრის წინააღმდეგ. ვიდრე ამ ქვეყნის ეკონომიური წესიერი ცხოვრება აღდგენილი არ იქნება, ბურებთან მორიგება და დაზავება შეუძლებელია. ეჭვი არაა, ომის გათავების შემდეგაც ზოგიერთი ბური მაინც არ შეეგუება და ბრძოლას განაგრძობს (ირლანდიელები ტაშს უკრავენ, ერთი დეპუტატი იძახის: «მათ შემდეგ მათი შვილებიც ეგრე მოიქცევიან!»), მაგრამ ხალხის მომეტებული ნაწილი უსათუოდ დამშვიდდება და ინგლისმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ამ მშვიდობიან ხალხს კარგად მოუვლის. შემდეგ ჩემბერლენმა კიტჩენერსა და ბოტას შუა გამართული მოლაპარაკება გაიხსენა და ეცადა დაემტკიცებინა, რომ ამ მოლაპარაკების ჩაშლა მთავრობის ბრალი არ იყო. არც საზოგადოთ მთავრობას, არც თითონ ჩემბერლენს კიტჩენერის პირობები ვითომ სრულებითაც არ შეუცვლიათო. ეხლა ცხადია,—სთქვა მინისტრმა,—რომ ბოტასაც და დევეტსაც სხვა პირობების მიღება არ ენდათ, გარდა სრულის დამოუკიდებლობისა, და რაკი საქმე ასეა, უსათუოდ იმ დრომდე უნდა ვიომოთ, სანამ ბურებს სრულიად დავიმორჩილებდეთ (სამინისტროს დასი ტაშს უკრავს.) მოლაპარაკება ბურებმა დროს გასაჭიანურებლად გამართეს და ისე შეჰხედეს, როგორადაც ჩვენი სისუსტის ნიშანს. ამიტომაც არაფერი ჭკუა იქნება, რომ კიდევ ახალი პირობები დავუდოთ ბურებს. მაგრამ როცა ომი დამთავრდება, ყველა არხეინად უნდა იყოს, ინგლისი სისხლისა და შურის ძიებას არ გამოუდგება. კაპის ახალშენში, სამწუხაროდ, მილნერის თქმისა არ იყოს, «მაწანწალა თავზე ხელ-აღებული კაცების» ბრბოები დაძრწიან ბევრ ადგილას, მაგრამ, საბედნიეროდ, დიდი ზარალის მოტანა არ შეუძლიათ. შემდეგ ჩემბერლენმა იმაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ვითომც ბურები მკვიდრ ზანგებსა და დაჭრილ ინგლისელ ჯარის კაცებს თოფით ჰხვრეტდნენ, მოიხსენია ეგრეთვე კრიუცინგერის შემონათვალიც, რომ ყოველ კაფრს, ვინც კი ინგლისელებთან მსახურებს, სულ ერთია, შეიარაღებული იქნება, თუ უიარაღო—უსათუოდ თოფით დავხვრეტავო (ერთი ირლანდიელი იძახის: «არა მჯერა ეგ!»). მინისტრი აცხადებს: ინგლისელებსა და ბურებს შუა არავითარი პირობა არაა დადებული იმის თაობაზე, რომ ომის დროს კაფრები არ მიიშველიონ; თუ ინგლისელები კაფრებს სამსახურში არ იყვანენ, ამას მარტო იმ აზრით ჩადიან, რომ ეხლანდელ გარემოებაში ესეთი პოლიტიკა უაზრო პოლიტიკა იქნებოდა. მაგრამ მთავრობა ამით პირობას არ იძლევა, რომ საკვდაოდაც, სხვა ომშიაც არ მოიხმაროს შავი ჯარი. მთავრობა ყოველ ომში უყოყმანოდ თავის მშვენიერ ინდოელ ჯარებს გაგზავნის საომრად, რასაკვირველია, იმ პირობით, კი, რომ ამ ჯარებმა განათლებული ერების ჩვეულების თანახმად იომონ, ესე იგი ბრიტანელ ოფიცრების სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან. (ირლ. დილონი: «ევროპაშიაც? ჩემბერლენი:» დიახ, ევროპაშიაც». დილონი: «თავის მოჭრა, თავს-ლაფის დასხმა იქნება ჩვენთვის!» ირლ. მაკ-ნეილი: «აბა ერთი გაბედეთ!» ირლანდიელები ტაშს უკრავენ თავიანთ ორატორებს). ბურები ყოველთვის იმსახურებდნენ კაფრებს, სანგრებს ათხრევინებდნენ, მზვერავებადა და მთხრობლებადა ჰყავდათ, მეჯანიბედ და იარაღის დამტარებლად აყენებდნენ. ინგლისელებსაც უფლება აქვთ კაფრები იმსახურონ; ამიტომ კრიუცინგერს არავითარი ნება არა ჰქონდა ეთქვა: ყოველ კაფრს, შეიარაღებული იქნება, თუ უიარაღო, უსათუოდ თოფით დავხვრეტავო. მთავრობამ,—გამოაცხადა მინისტრმა,—დაუყოვნებლივ დეპეშა მისწერა კიტჩენერს: რადგანაც ის საქციელი, რა საქციელითაც კრიუცინგერი იმუქრება, და ეგრეთვე დაჭრილი ჯარის კაცების თოფით დახვრეტა განათლებული ერების ომის წესებს ეწინააღმდეგება, ამიტომ ყველა, ვინც კი ან თითონ ჩაიდენს, ან სხვას მისცემს ნებას ამისთანა საქმე ჩაიდინოს, სამხედრო სამართალში მიიცემიან და თუ გამტყუნდნენ—სიკვდილით დასჯიან.

ამის შემდეგ ბ. ედ. გრეიმ, რედმონდმა და სხვ. ილაპარაკეს. დეპუტატმა ჰობდოუზმა მოითხოვა: ახალშენების სამინისტროს ბიუჯეტს მოვაკლოთ და ამით ჩემბერლენის პოლიტიკა გავკიცხოთო. მაგრამ პალატამ ეს წინადადება 154 ხმის უმეტესობით 70 წინააღმდეგ უარჰყო.

სამხრეთ-აფრიკა. კრიუგერი მაინც ისევ იმედებითაა სავსე: სტანდერტონიდან დეპეშა მოვიდა. ამ დეპეშაში ნათქვამია: გენერალმა ბოტამ კიტჩენერის თხოვნით კრიუგერს წერილი

ჰიგო მოეპოვებოდა—ცეცხლი დააგუგუნეს და გარს შემოუსხდნენ, ვისაც არა და—გასათბობად ისევ ლოგინს მიაშურეს. პელო ჯერ ისევ ამხანაგებში იყო, როდესაც ყველანი დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ. პელომ ჩაიარა ეკლესიის ეზოსკენ და იქ განმარტოვებით მიეცა შავს ფიქრებს. ასე იჯდა კარგა ხანს, ბოლოს სიცივემ აიკანკალა და სახლი მოაგონა. გამოშორდა თუ არა ეკკლესიის ეზოს, კინაღამ მუხლები ჩაეკეცა: ცოტა მოშორებით მომავალნი დაინახა თავისი სიძე ივანე და დანიშნული თედო. როგორც იყო თავი შეიმაგრა, წელში გასწორდა, თვალები ცეცხლსავით აენთო, პირზე ზიზღის გამომხატველი ღიმილი მოუვიდა; მოტრიალდა საჩქაროდ ისევ ეკკლესიის გალავანში, მოეფარა კედელს და როდესაც ივანემ და თედომ ორღობისკენ შეუხვიეს, პელო გამოტრიალდა და თვალის დახამხამებაზე მიეფარა...

ქვისლები ტკბილი ბაასით მიდიოდნენ სახლისკენ. თედო თავის ცხენებს აქებდა, ივანე—ხარ-კამეჩს.

— ჩემი ცხენებისთანა „ზდაროვი" ცხენები, უნდა გითხრა, ძმაო, რომ მთელ ქალაქში არ მოიპოვება,—იკვეხიდა მეეტლე თედო—და „ფაიტონსაც" ხომ ძალიან „ჩისტად" ვინახამ, ამიტომაც სულ „ბლაღოროდნები" არიან, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩემი მუშტრები. აი ეხლა ჩემს სოფელში მოსვლით ძალიან ბევრი ზარალი მომეცა, აქამდი იქ, ქალაქში, იცი რამდენ ფულს ავიღებდი? მაგრამ არა უშავს-რა, „ზატო" კარგ გოგოს წავიყვან სოფლიდან. ასე ანუგეშებდა თავს ჩვენი თედო. ივანე კი მოწიწებით უსმენდა და თავს აქნევდა...

კარგა დაღამებული იყო, როცა ესენი ამ ლაპარაკით სახლში შევიდნენ. ივანეს ცოლს ის იყო ქვაბიდან დედალი ამოეღო და მარილს აყრიდა.

— სიძე-ბატონ ვახლავარ ამ დედლით,—მიეგება ის თედოს. სიდონია მეზობელთან გასულიყო რბილი პურის სასესხად. ივანემ მაშინვე პელა მოიკითხა.

— მეზობლებში იქნება და საცაა მოვაო,—უპასუხეს. მაგრამ გავიდა დიდი ხანი და პელა არსად გამოჩნდა. მოიკითხეს უბანში, აქეთ ეძებეს, იქით, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს. ივანემ აღარ იცოდა, რა ექნა, სადღა მოეძებნა. ბოლოს გაექანა ისევ იმ მახლობელ ხევისაკენ, სადაც პირველად დაიმალა პელა. საშინელი ბნელი ღამე იყო, გზა და კვალს ვერ გაარჩევდა ადამიანი; სანთელი და წუმწუმა თუმცა თან ჰქონდა, მაგრამ ქარში არ დგებოდა. მოიღალა ხეტიალით, სიცივისაგან გაიყინა, რამდენსამე ადგილას ყინულზე ფეხი დაუსხლტა და დაეცა. დაბრუნდა შინ ივანე უფრო გაბრაზებული, მაგრამ რაღას გააწყობდა. დანიშნული გამშრალი, ხმა-გაკმენდილი იჯდა, დანარჩენები ჩვეულებრივად წიწინებდნენ, წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ თავიანთ „თავის მომჭრელს" და „შემარცხვენელს". შუაღამე მოახლოვებული იყო უკვე და ძებნა ამ დროს, ისიც ამისთანა უკუნეთ ღამეში—ტყუილი-ღა იყო...

ვახშამი მაინც ჭამეს, ადღეგრძელეს „სახლის კეთილი ანგელოზი" და ყველა მათგანმა დასაძინებლად ადგილი მოძებნა. ჯერ ისევ კარგა დიდი დრო იყო გათენებამდის, რომ თედო გამოვიდა სახლიდან და სამუდამოდ გამოეთხოვა იმ ეზოყურეს...

იქნებოდა დილის ხუთი საათი. სოფელში ზოგს ისევ ეძინა, ზოგი საქმეზე მიდიოდა. პელას მამიდამაც გამოიღვიძა, საჩქაროდ ტანთ-ჩაიცვა და ეშურებოდა კარების გაღებას, რადგანაც გარედან რაღაც ძახილის ხმა ესმოდა. გამოაღო თუ არა კარები,—დაინახა ეზოში მდგომი დიდ ჯოხზე დაბჯენილი აბრამ პეპანაშვილი, რომელმაც საშინელი მჭექარე ხმით შეჰყვირა:

— ფუ, თქვენ ადამიანობას, რო აქ არხეინათ გძინავთ და ი გოგო-კი იქ სულსა ლევს. ხალხნი არა ხართ, რამ დაგიკარგათ სვინდისი და შებრალება!..

ამ ყვირილზე შეიყარა ხალხი; ზოგმა არ იცოდა საქმე რაში იყო, ზოგს ნახევრად გაეგო და დანარჩენს თითონ უმატებდა, ზოგმა კი ნამდვილად იცოდა, რაც მომხდარიყო...

სოფლის განაპირზე, ერთს მაღალს კლდის ძირას ნახეს სისხლში მოსვრილი, ოდნავ-ღა სიცოცხლის ნიშნით საბრალო პელა... ლაპარაკის თავი, რასაკვირველია, აღარ ჰქონდა, არც ვინმე რას ჰკითხავდა,—ყველამ კარგად იცოდა მიზეზი მისი კლდიდან გადავარდნისა. მოიტანეს საჩქაროდ ურემი და წამოიყვანეს ქალი შინ. სიძე ჩუმად დაჰყურებდა გაფითრებულს ცოლის დას, მამიდა თავით უჯდა და ქვითინებდა და ხელებს უკოცნიდა, თან რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მაგრამ მომაკვდავს ახლა აღარავისი არაფერი სჯეროდა, არც ყურს უგდებდა არავის და აღარც შეეძლო,—მისი სიცოცხლის საათები დათვლილი იყო!

შუადღის ხანს ცოტა გონზე მოვიდა და ტკივილებიც იგრძნო, მხოლოდ ხმას არ იღებდა, თვალები-კი ღია ჰქონდა. ოთახში შემოვიდა მ. ალექსანდრე, მივიდა ავადმყოფთან და შუბლზე ხელი დაადო. პელამ შეხედა, ცოტა გაუღიმა მოძღვარს და პირი გააღო,—მიხვდა ის, რასაც თხოულობდნენ მისგან. მიიღო ჩუმად, უსიტყოთ წმ. საიდუმლო ზიარება. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ შეხედა მღვდელს და წარმოსთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ: მაწვალეს ბევრი, მოძღვარო, ბევრი ძალიან და ვმადლობ უფალს, რომ მაშორებს ამ ულმერთოებს... მე იქ, იმასთან მივდივარ, ვასოსთან.... იქ... მელოდება.

— ვინ არი, შვილო, ვასო?—დაეკითხა მ. ალექსანდრე გაკვირვებით.

— ის ჩემი ვასოა... სალდათათ რო წაიყვანეს და იქ მოკვდა... ოხ! თქვენ არ იცით.., ფიცი მივე სხვას არ წავ...ყო... ლოდი... რის წვალებით დაათავა უკანასკნელი სიტყვა და კიდევ რაღაც უნდა დაემატებინა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს: ერთი გაიზმორა და სამუდამოდ მოშორდა მუხთალს წუთი-სოფელს...

საწყალს, დაჩაგრულს პელას ვეღარ უშველეს ნათესავებმა თავ-პირში ცემით, ვეღარც მოთქმა-ტირილით, ვეღარც შენანებით. სიკვდილს შემდეგ მათი სინანული გვიან-ღა იყო!!.

ქეთო ზარაფიშვილისა.

მისწერა და ჰკითხა, რა აზრისა ხართ შერიგებაზეო. კრიუგერმა დეპეშით უპასუხა. ბოტამ ლორდ კიტჩენერი ნახა და ეს პასუხი გადასცა. კრიუგერი სწერს: «ბოტა, დევეტ, დელარეი, შტეინ, ბრძოლა განაგრძეთ. როცა საჭირო იქნება, თქვენი წვალება შემსუბუქდება».

✿ გაზეთები იუწყებიან, ვითომ ჰოლანდიის დედოფალს ვილჰელმინას რჩევა მიეცეს კრიუგერისათვის: დასთანხმდი ინგლისის პირობებსაო. მაგრამ კრიუგერს უპასუხნია: ვიდრე ორივე რესპუბლიკას დამოუკიდებლობას არ დაუბრუნებენ, არას დროს ზავს არ ჩამოვაგდებ ინგლისთანაო. ამერიკელები შვიდ წელიწადს იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და მაინც თავისი გაიტანესო.

✿ «დეილი მაილ»-ს სწერენ კაპშტადტიდან: მთავრობამ გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ კაპის ახალშენში სულ ათასიოდე ბური იქნება შესულიო. ამ ტყუილმა გამოცხადებამ მთელი კაპშტადტის საზოგადოება გააოცა. ნამდვილად ახალშენში რატომ შვიდ-რვა ათასი ბური არ იქნება. აჯანყებულების რიცხვი თან და თან მატულობს. ზოგიერთ ოლქში თითო-ოროლა კაცი-ღა დარჩა ინგლისის ერთგული. ვინც შარშან თავისთვის მშვიდობიანად ხვნა თესვას მისდევდა, ეხლა რაზმის უფროსებად გახდნენო. ერთს ამისთანა უბრალო ფერმერს ვინმე დე-ვილიეს ეხლა გენერალს ეძახიანო.

იაპონია. «ვოს. ცაიტ.» სწერენ იოკაჰამიდან: ამ ახლო ხანებში ორი იაპონელი დაბრუნდა გერმანიიდან და იოკაჰამაში სოციალ-დემოკრატიული საზოგადოების დაარსება განიზრახა. მაისში შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვეს, ნება მოგვეცი ახალი საზოგადოება დავაარსოთო, მაგრამ მაშინვე პასუხი მიიღესო; მაგისთანა საზოგადოების დაარსება არ შეიძლებაო. როცა მთავრობას თხოვნა მისცეს, იმავე დროს იაპონელმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ დასის პროგრამმა ყველა გაზეთის რედაქციებსაც გაუგზავნეს. ზოგიერთმა გაზეთმა ეს პროგრამმა მთლად დაბეჭდა, მაგრამ მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ყველა ეს ნომრები დაუყოვნებლივ დააჭირონა და რაც კი ჭერ აქეთ-იქით გაგზავნილი არა ყოფილიყო, სულ დაეწვევინა. მთავრობამ უბრძანა რედაქტორებს: ამას იქით სოციალ-დემოკრატების დასზე ხმის ამოღება აღარ გაჰბედოთ, თორემ ვაი თქვენს ბრალიო. სოციალისტები მაინც არ დამშვიდნენ: ახალი საზოგადოება დააარსეს, «სოციალისტური პროლეტარიატი»-ს სახელით და სულ ახლად ითხოვეს ნება-რთვა, მაგრამ მინისტრმა ხელ-მეორედაც მტკიცე უარი უთხრათ.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზ. საბჭომ ამ დღეებში სთხოვა თავის პრეზიდენტს, კავკასიის მთავარ-მართებელს თ. გ. ს. გოლიცინს, შუამდგომლობა გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვოს სამეურნეო საზოგადოების სახელით მიწად-მოქმედებისა და ფინანსთა მინისტრებს, ა. ს. ერმოლოვსა და ს. ი. ვიტტეს—მობრძანდნენ ტფილისში და დაესწრნენ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **საიუბილეო გამოფენას.**

✦ კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტმა ტფილისის **დურგალთა ამხანაგობას** დაუთმო გამოფენის სამრეწველო განყოფილებაში 16 ოთხ-კუთხი არშინი ადგილი, სადაც უნდა გამოფინონ ამხანაგობის ქარხნის სხვა და სხვა საუკეთესო ნაწარმოები.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველო აცხადებს: რადგანაც სამმართველო აპირებს მალე დააკმაყოფილოს ყველა ის პირები, რომელთაც საქონელი დაეწვა და **დაზარალდნენ 26 ივლისს ტფილისის სადგურზე მომხდარ ცეცხლისაგან**, ამიტომ დაზარალებულთ მალე უნდა წარადგინონ რკინის გზების სამმართველოში (საკომერციო განყოფილებაში) განცხადებები, თუ რა ზარალი მოუვიდათ მათ; განცხადებასთან აგრეთვე უნდა წარადგინონ საქონლის მისაღებ ბარათის დუბლიკატი.

✦ პარასკევს, 27 ივლისს, **ანანოვის სახერხავ ქარხანაში** გაჩენილ ცეცხლის ქრობის დროს დაშავდნენ მუშები მიხეილ მეტრეველი, ივ. სამოდუროვი, ტერ-ნიკოგოსოვი, ბაღდასაროვი და პატარა ყმაწვილი იუზბაშევი; პირველთ დაეწვათ ხელები და ფეხები, ხოლო იუზბაშევს გულის ფიცარი გაუტყდა. დაშავებულნი მიხეილის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი შემწეობის აღმოსაჩენად.

✦ ლაბორატორიის ქუჩაზე კ. ფურცელაძის სახლი, რომელსაც 28 ივლისს ცეცხლი გაუჩნდა, დაზღვეული ყოფილა „რუსეთის დამზღვევ საზოგადოება“-ში.

✦ 29 ივლისს, როგორც „ნოვ. ობ“.-ს ბაქოდან ატყობინებენ, **ცეცხლი** გაჩენია ბალახანაში ნავთის წყაროებს; გადამწვარა 60 მეტი სანავთე კოშკი; დაზარალდნენ კოკორევი, ნობელი, კრასილნიკოვი, ადამოვი და სხვ. ზარალი ძალიან დიდია; ცეცხლი თანდათან ძლიერდება.

✦ როგორც შეუნიშნავთ, ამიერ კავკასიის რკინის გზაზე ხშირად **უბედურება** ხდება ხოლმე იმის გამო, რომ ზოგიერთა მუშების უფროსებმა და მუშებმა არ იციან სავალდებულო წესები რკინის გზაზე მუშაობისა. ამის გამო რკინის გზის სამმართველომ ამ დღეებში ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა რკინის გზის ნაწილების უფროსებს, მათს თანაშემწეთ და რკინის გზაზე მუშაობის აღმსრულებელთ, დ̃ დაავალა ამათ გამოსცადონ ხოლმე შემთხვევის დროს ყველა რკინის გზის მოხელე, დანამდვილებით იციან თუ არა ყველა სავალდებულო წესები,. ეგევე დაევალა გზის ოსტატებსაც; ამასთანავე სასტიკად უნდა ედევნოს თვალ-ყური „ვაგონეტკების“ მოძრაობის შესახებ გამოცემულ წესების ასრულებას. ის ოსტატები თუ მოხელენი, რომელთაც არ ეცოდინებათ მათი სამსახურის შესახებ სავალდებულო წესები, დაისჯებიან.

✦ როგორც ისმის, საერო განათლების სამინისტროს წინადადება მიუცია სამოსწავლო ოლქის მზრუნველებისათვის, რაც შეიძლება ჩქარა შეატყობინონ ხსენებულ სამინისტროს, შესაძლებელია თუ არა, რომ 1901—1902 სამოსწავლო წელს შემოიღონ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების **პირველ კლასში ორივე ახალი ენა.**

✦ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ორი წლის ვადით ისევ ძველი **ფორმის ტანისამოსი** დაუტოვოს გიმნაზიების, პროგიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების მოსწავლეებს. ორი წლის შემდეგ კი შემოღებული იქნება ერთ-გვარი ფორმა ყველა მოსწავლეებისათვის.

✦ ეს მეორე წელიწადი სრულდება, რაც ტფილისის ქალაქის სამმართველომ **ქუჩებისა და მოედნების წმენდის** ახალი წესი შემოიღო: დავალა ყველა სახლის პატრონს დაასუფთაონ ის ნაწილი ქუჩისა, რომელიც მისი სახლის წინ არის; იმ თავითვე ყურის გდებაც მეტი იყო და შედარებით კარგად ასუფთავებდნენ ქუჩებს, შემდეგ-კი თან-და-თან უკლეს ყურისგდებას და დღეს კი სრულებით უპატრონოდ არის მიტოვებული ქუჩები, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ღარიბი ხალხი ცხოვრებს და ადვილად შეიძლება ავადმყოფობა გაჩნდეს. თუმცა ზოგან ხვეტენ ხოლმე ქუჩებს, მაგრამ ნაგავს იქვე გროვა-გროვად სტოვებენ კარგა ხანს და გააქვთ და გამოაქვთ ფეხით. ეს კიდევ არაფერი: ზოგიერთ კერძო სახლებში, მაგ., კვირაცხოვლობის ქუჩაზე, შინ წყლის საქცევი არხები არა აქვთ გაყვანილი და სხვა-და-სხვა ნარეცხ წუმპეს ბოჩკებში აგროვებენ ხოლმე სალამომდე, სალამოს კი, როდესაც შეუთვალთვალებენ, რომ არავინ დამშლელი არ იქნება, ამ ჰაერის მომწამლველ წყალს გამოიტანენ და ქუჩაზე ღვრიან. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და სავალდებულო დადგენილებათა ასრულებას.

✦ **ტფილისის ქალაქის სატყეო კომისიას** ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა 200 მან., რომელიც უნდა მოეხმარათ იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყვანილი სოფელ ლილოდან სარწყავი წყალი ავლაბრის და კუკიის ქალაქის მიწებისათვის, სადაც განზრახულია ბაღებისა და ტყის გაშენება; რადგანაც ეს ფული კომისიას არა ჰყოფნია აღნიშნულ მიზნისათვის, ეხლა კიდევ სთხოვს ქალაქის გამგეობას 800 მან. ამ საქმისათვის.

✦ **ტფილისის ქალაქის საყასბოს ბეითალმა** სთხოვა გუშინ წერილობით ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ საყასბოს გარშემო ხის ღობის ნაცვლად გაუკეთდეს ქვით-კირის კედელი.

✦ 28 ივლისს, პოლიციის მე-3 ნაწილში შეიპყრეს ტფილისის მოქალაქე მიხეილ პოზნიაკოვი, რომელსაც ყარსის რკინის გზის სადგურ ჯანდარზე ეფრემ გრიგოლის ძე მელქიანცისათვის მოუპარავს ჩემოდანი 90 მან. საღირალი ნივთებით; დამნაშავე პასუხის გებაში იქნება მიცემული.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, 27 ივლისს, ალექსანდროვსკის ქუჩაზე გაუფრთხილებლობისა-გამო ცეცხლი გაჩენია სერგო მარტირუზოვის სახლს. ცეცხლი მალე ჩაუქრიათ შინაურის საშუალებით.

✦ პოლიციის მე-4 ნაწილში, ლაბორატორიის ქუჩაზე, 28 ივლისს ბუხრიდან ცეცხლი გაჩენია აფანასევის სახლს; ცეცხლი ჩაუქრიათ ტფილისის ცეცხლის მრქრობელ რაზმის ოთხის კაცის დახმარებით. ზარალი მცირეა.

✦ 29 ივლისს, ღამის 4 საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში პოლიციის მოხელემ მიიყვანა 10 დღის დაბადებული ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ვერის დაღმართში შერემეტიევის სახლის შესავალთან ენახა დაგდებული.

✦ ტფილისის მცხოვრები ივანე სულუხაშვილი „დროგით“ დაბრუნებულა კოჯორიდან და როცა მოახლოვებია ქალაქის საზღვარს პოლიციის მე-4 ნაწილში, გადმოვარდნილა დროგიდან და სახე დაუშავებია; სულუხაშვილს შემწეობა აღმოეჩინა მიხეილის სამკურნალოში.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზე ზემოდ ყოფილა ცარიელი ადგილი დოლუხანოვისა და ნადიროვისა; ამ ადგილზე გარეშემო მცხოვრებნი ყოველ ნახვეტ ნაგავსა ჰყიან და ამის გამო მეტად ანტი-სანიტარულ მდგომარეობაშია ჩაყენებული მთელი ის პატარა კუთხე; რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი არ დათანხმებულან მის გაწმენდას პოლიციის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას დაწმინდონ ეს ადგილი და შემდეგ ზომები იქმნება მიღებული, რომ იმ ადგილზე მცხოვრებლებმა ნაგავი აღარა ჰყარონ.

პრესსა

ქართველ მკითხველს ეხსომება, რომ გაზეთ „პეტერბურგსკია ვედომოსტ“-ში ამას წინად დაბეჭდილი იყო მეტად საყურადღებო წერილი ბ. დურნოვოსი. წერილში ავტორი, სხვათა შორის, ეხებოდა სასულიერო სკოლებს ჩვენში, ჩვენის ეკკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობას (ბოდბის მონასტერი, ბიჭვინთა და სხვ.) და სხვა. ეხლა იმავე გაზეთში (25 ივლისი, № 201) დასტამბულია საპასუხო წერილი, რომელსაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, «გრუზინი» აწერია ქვემოდ. სირცხვილი იმ «ქართველს“, რომელიც ამისთანა საქმეს სჩადის, სირცხვილი, იმიტომ, რომ ცხადია, თუ რა ალაპარაკებს მას ასე უსვინიდისოთ.

⁂

„რუსსკ. ვედომ“. ამბობენ, რომ საშუალო სკოლა ერთნაირი უნდა იყოს რუსეთის ყველა მხარისვთის; ეს სკოლა უწინარეს ყოვლისა უნდა ასწავლიდეს იმას, რაც ყველასათვის უფრო საჭიროა, რასაც შეუძლია გაწვრთნას ყმაწვილის გონება და გული, ვინც უნდა იყოს ეს ყმაწვილი: რუსი, პოლონელი, ქართველი თუ სომეხი. მაგრამ შემდეგ სკოლას უნდა მიეცეს ცოტაოდენი თავისუფლება, რათა დაუახლოვდეს ადგილობრივ პირობა-საჭიროებათაო. მაგალითად, ამბობს გაზეთი, გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ გეოგრაფია-ისტორიის შესწავლასაო. ზოგიერთ ადგილებში-კი, განაგრძობს გაზეთი,

> „სასარგებლო იქნება შემოღებულ იქმნას დამატებით საგნები, რომელთა სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მოწაფეთათვის ან ნაწილისათვის, მაგალითად, პოლონეთში სასარგებლო იქნება პოლონურ ლიტერატურის შესწავლა საშუალო სკოლაში; ტფილისისა და ქუთაისის საშუალო სკოლებში სასარგებლო იქნება ქართულ და სომხურ ენების და ლიტერატურის და აგრეთვე კავკასიის ეტნოგრაფიისა და არხეოლოგიის შესწავლა“...
>
> „რა გზით და რასაშუალებით უნდა მოხერხდეს ეს საქმე, ეს ადგილობრივ უნდა გამოირკვეს სპეციალისტებისაგან; ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მივაჩნდა პრინციპიალურად დაგვეყენებია ეს კითხვა“.

საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ ჩვენც გვქონდა შემთხვევა გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებანი. მაშინაც ვწერდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ამისთანა მოხერხებული დრო მეორედ ძნელად დაგვიდგება და საჭიროა ვისარგებლოთ და ვითხოვოთ, რომ საშუალო სკოლა ჩვენში ყურადღებას აქცევდეს ჩვენს ენასა და ისტორიას.

⁂

„ნოვ. ვრემია“-ც გამოექომაგა პროვინციალურ პრესსას. გაზეთი ეხება იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ დროს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობასო და აქედანაც სჩანს, რომ მაინცა და მაინც კარგ პირობებში ვერ ყოფილა პროვინციალური პრესსაო. გაზეთი იძლევა კითხვას—ავნებს სახელმწიფო ინტერესებს, თუ პროვინციალური პრესსაც განთავისუფლებულ იქნება წინა ცენზურისაგანო? და ამბობს, რომ სატახტო ქალაქების პრესსამ დაამტკიცა, რომ—არაო; პირიქით, სახელმწიფოსათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ პროვინციალური პრესსაც დამოუკიდებელი იქნება ადგილობრივ ადმინისტრაციისაგანო. პროვინცია გაიზარდა და განათლდაო; იქ მრავალი საკუთარი საქმე და ინტერესი დაიბადა და ამიტომ პროვინციასაც უნდა კარგად დაყენებული პრესსაო. სატახტო ქალაქების გაზეთებს არ შეუძლიანთ ჯეროვანი ყურადღება მიაპყრონ პროვინციას და სახელმწიფოც მოკლებულია ერთგულ თანაშემწესაო...

დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება

კვირას, 29 ივლისს, დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრებას დაესწრო 26-მდე წევრი. თავმჯდომარედ იყო ნ. ელიავა. კრება მშვიდი და საქმიანი იყო და ამიტომ ყველა დანიშნულ საქმეების განხილვა მოასწრეს; ამხანაგობის გამგეობის ნახევარის წლის მოქმედების ანგარიშის (ანგარიში უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში აღნიშნული) მოხსენების შემდეგ კრებამ ბ. ლ. ფურცელაძის მოხსენების თანახმად, ვიდრე სხვა საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, საჭიროდ დაინახა ახალი წევრების არჩევანი დახურულის კენჭის ყრით. ამორჩეულ იქმნენ: გ. თურმანიძე, ნ. ჩუთლაშვილი, ივ. ტენისონი, ზ. ნაბიჭვრიშვილი, მთავარი დიაკონი ოქრომჭედლიშვილი ივ. კუჩაიძე და ბ. ბესოაშვილი.

გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ქურდიანმა წარუდგინა კრებას ვრცელი მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა ის გარემოება, რომ საზოგადოება სრულის თანაგრძნობით ეკიდება ამ დაწესებულებას, რაც იქიდან სჩანს, რომ მისი თვიური შემოსავალი 1000 მან. აღემატებაო, ხოლო წმინდა მოგება კი სულ მცირე რჩებაო. ბ. ქურდიანმა დაასახელა ოთხი მიზეზი, თუ რატომ არ მიდის სასურველად ამხანაგობის საქმე; პირველი მიზეზი თანხის უქონლობაა: დროზე მასალას ვერ იძენენ, რომ შეეძლოთ შემომკვეთელს საქმე მალე მოუსწრონ; ამის გამო ამხანაგობა ვარდება ჩარჩების ხელში, რომ-

ლთაც მასალაში ერთი-ორად უნდა აძლიოს ფული. მეორე მიზეზი—კრედიტის უქონლობაა; მესამე და მეოთხე—შესაფერისი გამგეობის უყოლობა და აქედან წარმომდგარი უთანხმოება ერთმანეთ შორის. როგორც გამოირკვა კრებაზე, თითოეული მათგანი თავის ქეიფისა დაგვარად იქცეოდა თურმე; საქმეების აღების დროს ერთმანეთს არ ეკითხებოდნენ, რის გამოც დაკვეთილის ნივთის ნამდვილი ღირებულობა ვერ ყოფილა გათვალისწინებული და მოგების ნაცვლად ზარალი მოსდიოდათ; შეგირდებზე ჯეროვანი ყურადღება არ ყოფილა მიქცეული და მათი ერთმანეთში დამოკიდებულება სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო გამწვავებულ უსიამოვნობამდეც კი მისულა. კრებამ, მიიღო რა სახეში გამგეობის წევრთა შორის ასეთი უსიამოვნო და და არა თანხმობითი მოქმედება, დაადგინა განახლდეს გამგეობა. ამის შემდეგ კრებას მსჯელობა ჰქონდა იმაზე, თუ სად და რა ნაირად გაიჩინონ კრედიტი; ბ-ნმა ქურდიანმა განუმარტა კრებას, რომ მას ჰქონია მოლაპარაკება ტფ. სასოფლო სამეურნეო ბანკთან, რომელიც თანახმა გამხდარა მისცეს ამხანაგობას სესხად 1000 მ. ამხანაგობის ქონების გირაოში. ლ. ფურცელაძემ განაცხადა, 1000 მ. ცოტაა საქმისათვის, ამიტომ საჭიროა სხვა რომელიმე ბანკიდანაც ვივალოთ ფული, ასე სულ 2000 მანეთამდეო. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღემდე იმდენი მოხერხებაც არა აქვს ამხანაგობას, რომ ეს ამოდენა გაკეთებული ავეჯეულობა სათვალო ადგილზე, მაღაზიაში ჰქონდეს დაწყობილით.

რამდენიმე ხნის კამათის შემდეგ, კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა—დაევალოს გამგეობას შეეცადოს და ამხანაგობის საქმეების რიგიანად დასაყენებლად ივალონ რომელისამე საკრედიტო დაწესებულებიდან 2000 მანეთი.

მაღაზიის დაარსების შესახებ კრებამ გადასწყვიტა დაევალოს ამხანაგობის გამგეობას, ყოველივე ღონის ძიება მიიღოს, რომ ახლო მომავალში ამხანაგობას ექნეს თავის ნაწარმოებთა დასაწყობად საკუთარი მაღაზია. კრებამ აგრეთვე საჭიროდ დაინახა სარევიზიო კომისიის ორი ახალი წევრის არჩევა, რადგანაც, კომისიის წევრის ლ. ფურცელაძის განცხადებით, ზოგი წევრები სრულებით საქმეს არ ეკარებიან და არასფერს არ აკეთებენო.

შემდეგ კრებას განსახილველად წარუდგინა მოხსენება დამფასებელ კომისიის წევრმა მიხეილ ჩოდრიშვილმა. ჩოდრიშვილის აზრით, დამფასებელი კომისია უნდა აფასებდეს ამხანაგობის ნივთებს ბაზარზე არსებულ ფასის მიხედვით. კრებამ ცოტა ხნის კამათის შემდეგ არ მიიღო ჩოდრიშვილის წინადადება და გადასწყვიტა, რომ ყოველი ნივთი ფასდებოდეს ისე, როგორც ეს დასჯდომიათ სახელოსნოში გაკეთების დროს.

შემდეგ ბ. ქურდიანმა მიაქცია კრების ყურადღება შეგირდების მდგომარეობას და დაახლოვებით ესა სთქვა: ამხანაგობის ერთი უმთავრესი მიზანია—შეიტანოს ხელოსნობაში მეტი სიფაქიზე და სიკეთე, რომ გაუმჯობესდეს ხელოსნობის ეს დარგი; საჭიროა მეტი ყურადღება იქმნეს მიქცეული შეგირდების გონებით მხარეზე და მივიღოთ ყოველივე საშუალება მათის განვითარებისათვის. ეს ჯერ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა და მეტად სასარგებლოც. შეგირდები რჩებიან ჩვენთან ხუთ-ექვს წელიწადს და თუ მათ მეტი განვითარება ექნება, ჩვენი დაწესებულებისათვისაც უფრო სასარგებლო იქმნებაო. ამიტომ საჭიროა დაარსდეს შეგირდებისათვის საკვირაო სკოლა. რადგანაც გამოირკვა, რომ ეხლა ამისათვის საკმაო თანხა არ არის, თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა გადადებულიყო ეს კითხვა; კრებამ ამ ჟამად მხოლოდ გადასდვა გამგეობის განკარგულებაში 20 მანეთი; ამ ფულით უნდა იყიდონ რვეულები, წიგნები და დააწყებინონ შაგირდებს სწავლა.

შემდეგ მ. ჩოდრიშვილმა წინადადება შემოიტანა, რომ გადასდონ ამხანაგობის მოგებიდან რამდენიმე პროცენტი ყოველ წლობით შეუძლებელ წევრების დასახმარებლად. პრინციპიალურად თუმც უმრავლესობამ ეს საკითხი საჭიროდ სცნო, მაგრამ, თანახმად კრების თავმჯდომარის წინადადებისა, გადასდო კითხვის განხილვა მომავალ იანვრამდე, რადგანაც ეს საკითხი განსახილველ საგანთა სიაში ამ დღეს შეტანილი არ ყოფილა და დაავალა ჩოდრიშვილს ამაზე იმ დროისათვის მოხსენება წარუდგინოს კრებას.

დასასრულ კრება შეუდგა გამგეობის ახალის წევრების არჩევას. დასახელებულ იქმნა 12 კაცი კანდიდატებად; ამათგან კენჭი იყარა 6 კაცმა, რომელთაგან ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი ს. ქურდიანი, ზაქარია ნაბიჯვრიშვილი და ვასილ მინდიაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ გ. მიკირტუმოვი და ოთინაშვილი. კრება დასრულდა ნაშუადღევის 5 საათზე.

პროვინცია

ს. ქვემო ჭალა (გორის მაზრა). ქვემო ჭალაში არსებობს ორი სასწავლებელი—ერთი „სამინისტრო“ სკოლა, მეორე—ეგრედ წოდებული «საეკლესიო სამრევლო», რომელთა შორის, თუ არ მოგვატყუილა ჩვენმა ჩაკვირვებამ, ძალიან კარგი განწყობილება არ უნდა ჰსუფევდეს.

მეორე სკოლის შესახებ ვერას ვიტყვით, რადგან «მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, რომ სთქვას სიმართლე, მოახტეს ცხენსა და გაიქცესო». სამინისტრო სკოლები თუ ამ მიმართულებას დაადგნენ, შეავსებენ «კოზლიკა»-ის ნაკლს ცოტათი არის მაინც.

მე მოგახსენებთ შესახებ ზემოხსენებულს სოფლის სამინისტრო სკოლაში ხელოსნობის სწავლებაზე. სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა სკოლა შვიდის პატარა მანქანით, რომლებსაც ზოგს ერთი, ზოგს ორი, ზოგს სამი პატარა გლეხის გოგო ამოსდგომია და მუყაითად შრომობენ ერთგულ მასწავლებლის ქალის ხელმძღვანელობით. ზოგნი ხალიჩას ქსოვენ, ზოგნი აბრეშუმის არდაბს (ჩეჩუნჩა), ზოგი ჯეჯიმს, ზოგი სახიან შალის მოშხო საკაბეს, ზოგი ბალიშებს ჰკერვენ ხავერდ აშრილ და ზოგი რას. წელს ეს პატარა ქალები, თვისის მასწავლებელის კნ. ალექ. ივ. ასულის ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით და იმავე სკოლის მასწავლებელის თანხმობით, გამოფენაში მიიღებენ მონაწილეობას. ჭეშმარიტად ეს მოღვაწე მასწავლებელნი შაგირდებით ქების ღირსნი არიან. რაც შეეხება სამრევლო სკოლას, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სემინარიელი, იგი სამინისტრო სკოლას ექიშპება და მხოლოდ «გოსპოდი პომილუის» გალობას ასწავლის.

მნახველი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ივლისი.

კრონბერგი. 4 საათზე გაასვენეს ახლად განსვენებული დედოფალი ვიქტორია. სასახლიდან ეკკლესიამდე ჯარები იდგა. გალობისა და ლოცვის შემდეგ იმპერატორის უმცროსი შვილები და ტახტის მემკვიდრე კუბოსთან დადგნენ: უკანასკნელი თავისაკენ და პირველები ფეხებისაკენ. უფროსმა მქადაგებელმა ლოცვა წაიკითხა და შესაფერი სიტყვა სთქვა და შემდეგ წესი აგო. ჯარმა სამხედრო სალამი მისცა, გაისმა დოლისა და ბუკის ხმა. შემდეგ ისევ გალობა დაიწყეს და წაიკითხეს ლოცვები.

ნიჟნი-ნოვგოროდი. პოლიციამ დაიჭირა ორი პირი, რომლებზედაც არხიმანდრიტ არკადიის მოკვლის ეჭვი მიიტანეს.

ვილნო. გუშინდელ სხდომაზე ვილნოში თვით-მმართველობის შემოღებიდან 25 წლის შესრულების გამო საბჭომ დაადგინა —დაიდგეს საბჭოს სხდომების დარბაზში იმპერატორ ალექსანდრე II-ს ბრინჯაოს ძეგლი, იყიდონ ადგილი და მისცენ სამოსწავლო ოლქს რეალურ სასწავლებლის განზრახულ სადგომისათვის და გახსნან ბავშვების საავადმყოფო 25 საწოლით.

ბორისოგლებსკი. ქალაქის ახლო ცეცხლმა იმსხვერპლა 14 გლეხის სახლ-კარი. დაიწვა დედა სამის პატარა შვილით, მამა, რომელიც სცდილობდა შვილის ხსნას, დაშავდა.

კიევი. პურის ფასმა აიწია.

კიევი. გამომძიებელთან მიყვანილმა ახალგაზდა ტუსაღმა მოულოდნელად ხელი სტაცა პატარა დანას და რამდენიმე მძიმე ჭრილობა მისცა თავის თავს.

ტამბოვი. საშინელი გვალვაა, ყველაფერი ხმება. მეტად ხშირია ცეცხლის გაჩენა. დღეს ტამბოვში ქალაქის შუა ადგილას 13 სახლი დაიწვა.

ტიუმენი. ჰქა-ქუხილი და წვიმებია, თბილა, ბალახი მოზრუნდა. პურის მოსავალი ციმბირში საშუალოა, ჰვავისა კარგი.

კილი. დღეს დილით სამხრეთ პოლიუსისაკენ წავიდა გერმანელთა ექსპედიცია გემ „გაუსზე“.

ჰომბურგი. ჩამოვიდნენ ინგლისის მეფე-დედოფალი, პრინცესსა ვიქტორია და საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე ამალით.

ვაშინგტონი. მიწად-მოქმედების მინისტრის ანგარიშით ჰვავის მოსავალი 83,6-ია. ანგარიშში, სხვათა შორის ნათქვამია—„ზოგიერთ ოლქებში სიმინდი ისე დაზარალებულია, რომ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება. სხვა ადგილებში წვიმებმა ყანები გამოაბრუნეს და იმედია გვარიანის მოსავლისა. შარშანდელ მოსავლისაგან დარჩენილა კიდევ 59,9%“.

ნეაპოლი. კრისპი გარდაიცვალა საღამოს $7^3/_4$ საათზე.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**
გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 ივლისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	$46,02^1/_2$	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$	გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	424	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$328^1/_4$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$227^1/_2$	გაყიდ.
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$91^3/_4$	„
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$91^3/_4$	„
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5%გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუაღღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუაღღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუაღღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (80—13)

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили. (10—10)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

თხზულება
თ. რ. ერისთავისა
I ტომი
ფასი სამი აბაზი.
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.